



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



24.03.2014

№ 11

სარჩევი

საქართველო.....	3
„საპარტნიორო ფონდმა“ IFC-თან ხელშეკრულება გააფორმა.....	3
რეგიონი	4
თურქეთში ელექტროენერჯის მოხმარება ბოლო ათწლეულის განმავლობაში 78%-ით გაიზარდა.....	4
თურქეთი გეოთერმული ენერჯეტიკის განვითარებაში ინვესტირებას გეგმავს	6
აზერბაიჯანი ენერჯეტიკული პროექტების ეფექტიანად მართვის მიზნით ახალ აქციონერულ საზოგადოებას აფუძნებს	7
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები.....	8
რუსი ოლიგარქი გერმანულ ნავთობკომპანიას 5 მილიარდ ევროდ ყიდულობს.....	8
ყირიმი დამანგრეველი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა	9
მოსკოვში ყირიმის მუდმივი ენერგომომარაგების სქემას იმუშავებენ, რომლის ღირებულებამ შესაძლოა არანაკლებ 70 მილიარდი რუბლი შეადგინოს.....	10
ევროკავშირი	12
შვეიცარიული Alpiq-ი სერბეთს ევროკავშირთან ელ.ენერჯის ვაჭრობაში დაეხმარება ..	12
2013 წელს ევროკავშირის გაზის მოხმარება 1.4%-ით შემცირდა.....	13
ბალტიის ქვეყნებში ქარის გამომუშავება 14%-ით იზრდება	14
მსოფლიო.....	15
ჩინეთი ენერჯო სექტორის რეფორმას იწყებს.....	15
ბრიტანეთი რუსული გაზის იმპორტს 2012 წლის კონტრაქტის მიხედვით იწყებს.....	16
„მსუნთქავი“ ბატარეა, რომლითაც მომავლის ელექტრომობილები აღიჭურვებიან	17
ანალიტიკა	18
ბუნებრივი აირი 2035 წლამდე უმთავრესი ენერჯის წყარო იქნება.....	18

„საპარტნიორო ფონდმა“ IFC-თან ხელშეკრულება გააფორმა

ჰიდროელექტროსადგურ „ნენსკრას“ პროექტის განხორციელების პროცესში კერძო სექტორის მონაწილეობის მიზნით, „საპარტნიორო ფონდმა“ ხელშეკრულება გააფორმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC-თან), რომელიც „საპარტნიორო ფონდს“ კონსულტაციას გაუწევს პროექტის სტრუქტურის შემუშავებაში, სახელშეკრულებო და ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებაში და ინვესტორებთან მოლაპარაკების პროცესში.

IFC მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია და კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტია, რომელიც ასევე საკონსულტაციო მომსახურებას ეწევა ინფრასტრუქტურულ პროექტებში სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის საკითხებში.



„ჩვენ გვინდა, რომ ყველა ის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც ჩვენ განვახორციელებთ კერძო ინვესტორთან ერთად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით განხორციელდეს, სწორედ ამიტომ ავიყვანეთ კონსულტანტად IFC, რომელიც „ნენსკრას“ პროექტის განხორციელების პროცესში შეაფასებს ინვესტორის წინადადებას და ასევე მოამზადებს გარიგების სამართლებრივ, კომერციულ და ფინანსურ სტრუქტურას,“ - განაცხადა „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ.

210 მგვტ. სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური სვანეთში მდ. ნენსკრაზე უნდა აშენდეს, რომლის პოტენციური გამომუშავება: 1.3 მლრდ კვტ/სთ იქნება. პროექტის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა: 570 მლნ აშშ დოლარია, ხოლო მშენებლობის ვადა ხუთი წელი.¹

¹ http://fund.ge/geo/view_news/139

თურქეთში ელექტროენერჯის მოხმარება ბოლო ათწლეულის განმავლობაში 78%-ით გაიზარდა

როგორც ბოლო დროს გამოქვეყნებულმა მონაცემებმა აჩვენა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თურქეთის ელექტროენერჯის მოხმარება 78%-ით გაიზარდა, რაც



ადასტურებს, რომ ენერჯიაზე ფასების შემცირების მიზნით ქვეყნის სწრაფვას ახალი წყაროების მოძიებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

თურქეთის ელექტროგადამცემი კომპანიის (TEİAŞ) მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, თურქეთის ელექტროენერჯის მოხმარება, რაც 2003

წელს 131.9 მილიარდ კილოვატ საათს შეადგენდა, გასული წლისათვის 235 მილიარდ კვტ.სთ-მდე გაიზარდა.

როგორც თურქეთის ენერჯეტიკის მინისტრმა ტანერ ილდიზმა „ანადოლუს სააგენტოს“ განუცხადა, ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად ელექტროენერჯის მოხმარება მუდმივად იზრდება.

„2002 წლიდან თურქეთმა ელექტროენერჯის მოხმარება გააორმაგა. 2023 წლისათვის ჩვენ თითქმის გავაორმაგებთ ელექტროენერჯის მოხმარებას 450 მილიარდ კვტ.სთ-მდე,“ - აღნიშნა ილდიზმა.

TEİAŞ-ის ვარაუდით, რომელიც ექსპლუატაციასა და მომსახურებას უწევს თურქეთის ელექტროქსელებს, 2014 წელს ქვეყანა 256 მილიარდ კვტ.სთ ელექტროენერჯის მოიხმარს.

სტამბული უფრო მეტ ელექტროენერჯის მოიხმარს, ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი რვა ქვეყანა.

ილდიზმა ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრო აპირებს ინვესტიციების ჩადებას იმ ქალაქებში, სადაც ელექტროენერჯის მაღალი მოხმარებაა, მაგრამ ქვეყნის ენერჯიაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თურქეთს ესაჭიროება დამატებითი ინვესტიციები ბირთვულ და ქვანახშირის ელექტროსადგურებში, ასევე - განახლებად ენერჯეტიკაში.

მონაცემების მიხედვით სტამბული, ქვეყნის უდიდესი ქალაქია მოსახლეობისა და ინდუსტრიის თვალსაზრისით, მეტ ელექტროენერჯის მოიხმარს, ვიდრე OECD-ის წევრი

რვა ქვეყანა. როგორც TEİAŞ-მა აღნიშნა, 2013 წელს სტამბულმა მოიხმარა 36.8 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგია, მაშინ როდესაც საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს (IEA) მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ზოგიერთი ევროპული ქვეყანა სტამბულზე ნაკლებს მოიხმარს. 2013 წელს უნგრეთის მოხმარებამ - 34.4, დანიის - 30.4, სლოვაკეთის - 28.6 და ირლანდიის - 27.7 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგია შეადგინა. სტამბული იყენებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ესტონეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი და სლოვენია.

„როიტერის“ თანახმად, მოსალოდნელია, რომ თურქეთი გაუსწრებს გაერთიანებულ სამეფოს - ელექტროენერგიის მოხმარების მხრივ მესამე უდიდეს სახელმწიფოს ბოლო ათწლეულში. იგი ცდილობს გახდეს ენერგიით ვაჭრობის ცენტრი, აკეთებს რა აქცენტს ზრდად მოსახლეობასა და ეკონომიკაზე, ასევე - ბუნებრივი აირის იაფ რესურსებთან სიახლოვეზე.

ამყარებს რა იმედებს ენერგიის ახალ წყაროებზე, თურქეთი გეგმავს 7.2 მილიარდი აშშ დოლარით შეამციროს ხარჯები ბუნებრივ აირზე მას შემდეგ, რაც მომავალ ათწლეულში ექსპლუატაციაში შევა დაგეგმილი ატომური ელექტროსადგური.




თურქეთის ატომური ენერგიის სტრატეგია წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითადს მის გრძელვადიან სტრატეგიაში, შეამციროს ენერგოდამოკიდებულება. თურქეთი მიზნად ისახავს შემდეგ ათწლეულში ადგილობრივი ატომური ინდუსტრია განავითაროს, რადგან მიისწრაფის შეამციროს ძვირადღირებულ იმპორტირებულ ნავთობსა და გაზზე დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, თურქეთმა თავისი პირველი ორი ატომური ელექტროსადგური უცხოურ ფირმებს გადასცა.

პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა რუსულ კომპანიას - Rosatom-ს გადაეცა, რომელიც „მერსი-აკუიუმის“ ექსპლუატაციის დაწყებას 2019 წლისათვის გეგმავს. მეორე გარიგება, რომლის ღირებულება 22 მილიარდი აშშ დოლარია, იაპონურ-ფრანგულ კონსორციუმთან შედგა 2013 წლის მაისში და ატომური ელექტროსადგურის შავი ზღვის რეგიონის პროვინცია სინოპში მშენებლობას გულისხმობს. მეტიც, ქვეყანამ გამოთქვა სურვილი ააშენოს მესამე ატომური სადგური, შესაძლოა ბულგარეთის საზღვართან იგნეადაში, რომელსაც თვითონ ამუშავებს.²

² <http://www.hurriyetdailynews.com/electricity-consumption-in-turkey-soars-78-pct-over-decade.aspx?pageID=238&nID=63699&NewsCatID=348>

თურქეთი გეოთერმული ენერჯეტიკის განვითარებაში ინვესტირებას გეგმავს

თურქეთი მსოფლიოში მეშვიდე ადგილზეა გეოთერმული ენერჯის პოტენციალის მხრივ, თუმცა დიდ ნაწილს დაბალი თბური ღირებულება გააჩნია, რის გამოც მისი ელ.ენერჯის საწარმოებლად გამოყენება მოსახერხებელი არ არის, მაგრამ ხელსაყრელია გათბობის სისტემებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამჟამად თურქეთში ნახევარ მილიონზე მეტი მაცხოვრებელი თბება გეოთერმული ენერჯის წყალობით და ქვეყანა კვლავ აპირებს ამ რესურსის პოტენციალის შესწავლასა და ათვისებას.



თურქეთის მინერალების კვლევისა და ძიების გენერალურმა დირექტორატმა 20 ქალაქი შეარჩია, სადაც ქვეყანამ გეოთერმული ენერჯის პოტენციალის შესწავლაში 2014 წელს ჯამურად 13 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ცენტრალური ანატოლიის რეგიონის 7 ქალაქში გეოთერმული ენერჯის პოტენციალის შესწავლაში 7 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირება მოხდება, ხოლო დედაქალაქი ანკარას პოტენციალის შესწავლას 1.8 მლნ. აშშ დოლარი მოხმარდება.

დასავლეთ პროვინციებში იზმირში, მანისასა და აფიონკარაჰისარში გეოთერმული ენერჯის პოტენციალის შესწავლაში 3.5 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდება, ხოლო დანარჩენი თანხა ჩრდილო-დასავლეთში მდებარე მარმარას რეგიონსა და აღმოსავლეთ თურქეთში არსებული რესურსების შესწავლას მოხმარდება.

დღესდღეობით თურქეთში გეოთერმულ წყლებზე მომუშავე სადგურები 331 მგვტ.სთ ელ.ენერჯიას გამოიმუშავენ. ეს მონაცემი 12 წლის წინ 15 მგვტ.სთ იყო.

თურქეთი გეგმავს განავითაროს განახლებადი ენერჯორესურსები და კონცენტრირდეს ისეთ შიგა რესურსებზე, როგორცაა ქვანახშირი, გეოთერმული ენერჯია,

ჰიდრო, მზისა და ქარის რესურსი, რათა 2023 წლისთვის მიაღწიოს სასურველ მიზანს, რომელიც ენერჯის წყაროებში განახლებადი ენერჯის წილის 30%-მდე ზრდას გულისხმობს.³

აზერბაიჯანი ენერგეტიკული პროექტების ეფექტიანად მართვის მიზნით ახალ აქციონერულ საზოგადოებას აფუძნებს

აზერბაიჯანის სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანია SOCAR-ის ვიცე-პრეზიდენტის სულეიმან გასიმოვის განცხადებით, ენერგეტიკული პროექტების ეფექტიანად მართვის მიზნით ძალიან მალე დაფუძნდება ახალი აქციონერული საზოგადოება.

2014 წლის თებერვალში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ახალი აქციონერული საზოგადოების დაფუძნების შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი, რომელიც შაჰ-დენიზის საბადოს განვითარების მეორე ეტაპთან, სამხრეთ-კავკასიურ გაზსადენთან, ტრანს-ანატოლიურ (TANAP) და ტრანს-ადრიატიკულ (TAP)



State Oil Fund of the Republic of
Azerbaijan

გაზსადენებთან დაკავშირებულ პროექტებს ეხება.

სახელმწიფო კომისიის თხოვნის საფუძველზე, რომელიც ამ პროექტების ეფექტიან მართვას ეხებოდა, SOCAR-ი აპირებს დააფუძნოს დახურული ტიპის

აქციონერული საზოგადოება (კომპანიის 51% სახელმწიფოს, ხოლო 49% SOCAR-ის საკუთრება იქნება), რომლის საწესდებო კაპიტალი 100 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ნავთობის სახელმწიფო ფონდ SOFAZ-ს ახალი აქციონერული საზოგადოების დაფინანსება დაევა. სახელმწიფო კომისიის დავალებით, SOFAZ-ი ასევე სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციასაც შეასრულებს.

ახალი აქციონერული საზოგადოების აქციათა განკარგვასა და მენეჯმენტს აზერბაიჯანის ეკონომიკისა და ინდუსტრიის სამინისტრო განახორციელებს, ხოლო დივიდენდებს კომპანიიდან SOFAZ-ი მიიღებს.

აქციონერული საზოგადოების ყველა პროექტიდან შემოსული შემოსავალი გადაეცემა SOFAZ-ს, სანამ საზოგადოებაში ინვესტირებულ კაპიტალს სრულად არ ამოიღებს.

³ <http://www.turkey-electricity.com/page6.html>; <http://www.evwind.es/2014/03/20/turkey-plans-geothermal-energy-investment/44208>

სახელმწიფო კომისიას, რომელიც აზერბაიჯანის პრეზიდენტის მიერ 2013 წლის ოქტომბერში გამოცემული ბრძანების საფუძველზე შეიქმნა, აქვს ვალდებულება და უფლებამოსილება მოაგვაროს სააქციო საზოგადოების დაფუძნების შესახებ ბრძანებულებაში აღნიშნული ნებისმიერი საკითხი.⁴

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

რუსი ოლიგარქი გერმანულ ნავთობკომპანიას 5 მილიარდ ევროდ ყიდულობს

Forbes-ის ვერსიით რუსეთის სიმდიდრით მეორე მილიარდერი, მიხაილ ფრიდმანი 5.1 მილიარდ ევროდ ყიდულობს გერმანიის ერთ-ერთ უმსხვილეს ნავთობისა და გაზის კომპანიას RWE Dea-ს. თუ გარიგება შედგება ეს იქნება რუსული ბიზნესის უმსხვილესი უცხოური შენაძენი.



ფრიდმანი რუსული „ალფა ჯგუფის“ დამფუძნებელია. ამ კომპანიამ შარშან რუსულ-ბრიტანული ერთობლივი ნავთობკომპანიის THK-BP-ის აქციები გაყიდა. რუსი ოლიგარქი გერმანულ კომპანიას სწორედ ამ თანხით ყიდულობს. Dea-ს შესყიდვას ახორციელებს საინვესტიციო კომპანია LetterOne, რომელიც რუსმა ოლიგარქებმა მიხაილ ფრიდმანმა, გერმან ხანმა და ალექსეი კუზმიჩევმა 2013 წელს დააფუძნეს.

გერმანულმა RWE-მ 16 მარტს გამოაცხადა რომ Dea რუსულ LetterOne-ს 5.1 მილიარდ ევროდ(7.1 მილიარდი აშშ დოლარი) მიყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ

⁴ http://www.azernews.az/oil_and_gas/65427.html

Dea-ს 600 მილიონი ევროს დებიტორული დავალიანება ახალი მფლობელის საკუთრება გახდება, რუალურად რუსები გერმანულ კომპანიაში 4.5 მილიარდ ევროს (6.3 მილიარდ აშშ დოლარს) იხდიან, რაც რუსული ბიზნესისთვის რეკორდული უცხოური გარიგებაა.

RWE-მ და LetterOne-მა ჯერ კიდევ უნდა გააფორმონ სავალდებულო იურიდიული დოკუმენტი და ეს შეთანხმება ევროკავშირის რამდენიმე რეგულატორმა უნდა დაამტკიცოს. Dea-ს საწარმოები და ჭაბურღილები გააჩნია გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, დანიაში, ნორვეგიასა და ეგვიპტეში. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ერთადერთი რამაც შესაძლოა შეთანხმება ჩაშალოს ეს უკრაინის კრიზისი და მასთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი სანქციებია.

RWE-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგეგმილი შეთანხმების თაობაზე გერმანიის ხელისუფლებას შეატყობინა და ოფიციალურ ბერლინს რაიმე უკმაყოფილება არ გამოუთქვამს.

Wall Street Journal-ის ცნობით, Dea-ს შესაძენად გამართულ ბრძოლაში რუსებმა დაამარცხეს გერმანული Wintershall-ი (შედის კონცერნში BASF), უნგრული MOL-ი, ამერიკული კონსორციუმი Kohlberg Kravis Roberts-ი და ქუვეითის სახელმწიფო ნავთობკომპანია Kuwait Petroleum Corp-ი.⁵

ყირიმი დამანგრეველი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე აღმოჩნდა

TCH-ის სიუჟეტის თანახმად, ყირიმი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზეა. ექსპერტებმა დათვალეს, თუ რა შეიძლება დაუჯდეს ყირიმს უკრაინისაგან გამოყოფა. ჩაშლილი ტენდერების, სურსათის დეფიციტის, ტურისტების შემცირების და სუბსიდიების გაუქმების და წყალმომარაგებაში წარმოქმნილ პრობლემებთან ერთად განხილულია გაზისა და ელექტროენერჯის სექტორში მოსალოდნელი საფრთხეებიც.

ბუნებრივ აირს ნახევარკუნძულს უკრაინული გაზის ტრანსპორტირების სისტემის მეშვეობით „ჩერნომორნეფტგაზი“ აწვდის, რომელიც „ნეფტოგაზ უკრაინის“ 100%-იან მფლობელობაშია. თუ ყირიმი



უკრაინას გამოეყოფა, უკრაინელები, რა თქმა უნდა, მილებს არ გადაკეტავენ, მაგრამ საჭირო გახდება საფასურის გადახდა და თან - საერთაშორისო ფასებით. ხოლო, რიგითი

⁵ <http://news.ge/ge/news/story/83221-rusi-oligarqi-germanul-navtobkompanias-5-miliard-evrod-yidulobs>

მომხმარებლისათვის გაზის საფასური უკრაინაში უფრო დაბალია, ვიდრე რუსეთის უმეტეს ტერიტორიაზე.

„რუსეთთან მიერთებაც კი უკვე ფასის გაზრდას იწვევს. ყოველწლიურად რუსეთი არანაკლებ 15%-ით ზრდის ფასს შიგა მომხმარებლისათვის. ამას გარდა, გარკვეული ტარიფი დაედება წყალსაც. ფასები დაბალი არ იქნება არც წყლისა და არც ელექტროენერჯისათვის“, - აღნიშნა ექსპერტმა.

ყირიმს ელექტროენერჯის 80% ასევე კონტინენტური უკრაინიდან მიეწოდება. შესაბამისად, ფასები კომუნალურ მომსახურებაზე შესაძლოა ისე გაიზარდოს, რომ რუსულმა ხელფასებმაც ვერ დაფაროს. თანაც, კომუნალური მომსახურებებისთვის დარჩენილია საშუალოდ 3 თვის გადასახადის დაახლოებით 30%.

ამჟამად საშუალო ტარიფები ასეთია:

დენი - 0.28 კაპიკი/1კვტ.სთ

გაზი - 0.36 კაპიკი/კუბ.მ.

წყალი - 21 გრივნი/სულზე თვეში.

სოციალური კატასტროფის დაწყებას ექსპერტები ყირიმს უკვე ერთი-ორი კვირის შემდეგ უწინასწარმეტყველებენ.⁶

მოსკოვში ყირიმის მუდმივი ენერგომომარაგების სქემას იმუშავებენ, რომლის ღირებულებამ შესაძლოა არანაკლებ 70 მილიარდი რუბლი შეადგინოს.

გაზეთ „კომერსანტის“ ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტრო სასწრაფო წესით იმუშავებს ყირიმის უკრაინისაგან დამოუკიდებელი მუდმივი ავტონომიური ელექტრომომარაგების სქემას.

ყირიმი დამოკიდებულია უკრაინის გამომუშავებაზე: მოხმარება პიკში 1.4 გვტ.სთ-ს აჭარბებს, ხოლო რეგიონის ოთხი თბოელექტროსადგურის გამომუშავება მხოლოდ 200 მგვტ-ია. ნახევარკუნძულის ენერგომომარაგებისათვის რეზერვების ჩათვლით საჭიროა არანაკლებ 1.5 გვტ, რის გამოც რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის სამინისტრო განიხილავს სცენარს, რომლის მიხედვითაც სიმძლავრის ნაწილი ელექტროგადამცემი ხაზით ყურის გავლით მიეწოდება ნახევარკუნძულს, ხოლო დანარჩენი ყირიმის ადგილობრივი გენერაციით იქნება უზრუნველყოფილი (არის მცირე სიმძლავრიანი ბლოკების თბოელექტროსადგურის მშენებლობის წინადადება). ასევე, არსებობს 1გვტ-ის რუსეთიდან მიწოდების და 500მგვტ-ის ყირიმში გამომუშავების (ან პირიქით) ვარიანტი.

⁶ <http://ru.tsn.ua/ukrayina/krym-okazalsya-na-poroge-razrushitelnoy-gumanitarnoy-katastrofy-355086.html>

ორივე შემთხვევაში საჭიროა ელექტროგადამცემი ხაზები (პირველ შემთხვევაში - 500კვ, მეორეში - 330კვ).

„ვიცე-პრემიერის არკადი დვორკოვიჩის სეკრეტარიატში არ იციან არის თუ არა ყირიმის დამოუკიდებელი ენერგომომარაგების სქემის შემუშავების დავალება,“ - წერს „კომერსანტი“. „სამინისტროში, „ქსელების ფედერალურ კომპანიას“ და „სისტემურ ოპერატორში“ კომენტარს არ აკეთებენ,“ - აღნიშნავს გაზეთი.

„კომპლექსური ენერგეტიკული გადაწყვეტილებების“ დირექტორი იგორ ლუკაშენკო, რომლის მოსაზრებაც მოიყვანა „კომერსანტმა“, 330კვ-იანი წყალქვეშა ხაზის გაყვანას 10 მილიარდ რუბლად აფასებს, ხოლო 500კვ-იანის - 15 მილიარდ რუბლად. „ქსელების ფედერალურ კომპანიას“ უკვე შესთავაზეს პროექტის 2016 წლამდე განხორციელება. „ყირიმში დიზელ-გენერატორების მუშაობის შემთხვევაში მხოლოდ საწვავისათვის საჭირო იქნება წელიწადში 150-200 მილიარდამდე რუბლი. 1 გიგავატი სიმძლავრის გაზის სადგურის მშენებლობა 1.5-2 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება, 500 მგვტ - 0.75-1 მილიარდი აშშ დოლარი,“ - აღნიშნავს „ურალსიბას“ ანალიტიკოსი მატვეი ტაიცი. „არ არის გამორიცხული, რომ გენერაციის წყაროს მშენებლობა რუსეთშიც გახდეს საჭირო,“ - დასძენს „კომერსანტის“ წყარო.



როგორც გაზეთი აღნიშნავს, შესაძლოა, საჭირო გახდეს ბუნებრივი აირის მიწოდების პრობლემის გადაჭრაც. ყირიმში გაზის მოპოვებით დაკავებულია „ჩერნომორნეფტგაზი“, მაგრამ მასში ხელმძღვანელობა შეიცვალა და თანამშრომლები ახალ გეგმებს ჯერ არ გასცნობიან. ადრე ვარაუდობდნენ, რომ მიმდინარე წელს „ჩერნომორნეფტგაზის“ მოპოვება 2014 წელს 3 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევდა. სერგეი აქსიონოვი ირწმუნებოდა, რომ ყირიმი ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციის შემდეგ სრულიად შეძლებდა საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ ყირიმის მოხმარება 2 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო სამი 150 მგვტ-იანი აირტურბინისათვის 550-600 მილიონი კუბური მეტრი იქნება საჭირო წელიწადში, 1 გიგავატი სიმძლავრის მშენებლობის შემთხვევაში - 1.2 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი. „კრასნოდარიდან სიმფეროპოლამდე (400კმ) 10 მილიარდ კუბურ მეტრამდე

გამტარუნარიანობის გაზსადენის მშენებლობის ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარამდე ღირს, თუმცა, შესაძლოა ნაკლები დაჯდეს,“ - ამბობს ანდრეი პოლიშჩუკი „რაიფაიზენბანკიდან“. „ერთი კილომეტრი მილის სავარაუდო ღირებულება 2-3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. თუ ხაზი ანაპიდან გავა, მისი სიგრძე 100კმ-ს არ გადააჭარბებს, ანუ ღირებულება ჯამში დაახლოებით 200-300 მილიონი აშშ დოლარი იქნება,“ - დასძენს ის.

თუმცა ამ ინფორმაციის მიუხედავად, როგორც „კომერსანტს“ „გაზპრომში“ უთხრეს, ყირიმში გაზის მიწოდების სქემაზე საუბარი ჯერ არ მიმდინარეობს.⁷

ევროკავშირი

შვეიცარიული Alpiq-ი სერბეთს ევროკავშირთან ელ.ენერჯის ვაჭრობაში დაეხმარება

ელ.ენერჯით მოვაჭრე კომპანია Alpiq Central Europe-მა, რომელიც შვეიცარიული ენერჯეტიკული კომპანია Alpiq-ის შვილობილია, სერბეთის მთავრობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რომლის მიხედვითაც შვეიცარიელები სერბეთის ენერჯო კომპანია EPS-ს ევროკავშირთან ელ.ენერჯის ვაჭრობაში დახმარებას გაუწევენ. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ელ.ენერჯით მოვაჭრე კომპანია Alpiq Central Europe, EPS-ს ევროკავშირის ბაზართან დაკავშირებაში, კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და ხელსაყრელი სავაჭრო კონტრაქტების დადებაში დაეხმარება.



მემორანდუმი EPS-ის თანამშრომლებისთვის დამატებითი ტრენინგებისა და კურსების ჩატარებასაც გულისხმობს. EPS-ი ასევე გეგმავს სლოვენიაში ელ.ენერჯით მოვაჭრე ახალი კომპანიის დაფუძნებას, რომლის მეშვეობითაც სერბულ კომპანიას, როგორც ევროკავშირთან, ასევე რეგიონის ქვეყნებთან ელ.ენერჯის ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობა ექნება. Alpiq-თან თანამშრომლობა EPS-ს რეგიონალურ

⁷ <http://www.bigpowernews.ru/news/document55269.phtml>

ბაზარზე კომპანიის პოზიციების განმტკიცებასა და საერთაშორისო კონკურენციისათვის სამზადისში დაეხმარება.

სერბეთის ენერჯეტიკის მინისტრის ზორანა მიხაილოვიჩის განცხადებით, 2014 წლის პირველი კვარტლის ბოლომდე EPS-ის რესტრუქტურისაცა და დახურული აქციონერული საზოგადოების ტიპის კომპანიად გარდაქმნა უნდა მოხდეს. 2013 წელი კომპანიამ 229 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის მოგებით დაასრულა. 2013 წელს კომპანიამ ელ.ენერჯის გაყიდვების რეკორდული მაჩვენებელი, დაახლოებით 2.4 მლრდ. აშშ დოლარი დააფიქსირა. EPS-ის ექსპორტი ამავე პერიოდში 3.3 მლრდ.კვტ.სთ. იყო, რომელმაც ფულად ერთეულში 141.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს კომპანიამ 37.4 მლრდ.კვტ.სთ. ელ.ენერჯია გამოიმუშავა, რაც საპროგნოზო მაჩვენებელზე 469 მლნ.კვტ.სთ-ით მეტი იყო.⁸

2013 წელს ევროკავშირის გაზის მოხმარება 1.4%-ით შემცირდა

გაზის ინდუსტრიის ასოციაციის Eurogas-ის მონაცემებით, ევროკავშირის 28 წევრ ქვეყანაში გაზის მოხმარება 2013 წელს 1.4%-ით შემცირდა. უკვე ზედიზედ მესამე წელია გაზის მოხმარება ევროკავშირში მცირდება - 2012 წელს 2%-ით და 2011 წელს 10%-ით. გაზის მოხმარების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო ელექტროსადგურების მიერ მოხმარების შემცირებით. Eurogas-ის ცნობით, 2013 წლის მთლიანმა მოხმარებამ 462 მლრდ.კუბ.მ შეადგინა.



2013 წლის პირველ ნახევარში მოთხოვნა მცირედით გაიზარდა ცივი ამინდებიდან გამომდინარე, მაგრამ წლის მეორე ნახევარში მოთხოვნა შემცირდა, განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში, რადგან ევროკავშირის უმრავლეს წევრ ქვეყანაში ამ პერიოდში შედარებით მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა.

⁸ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 705, 19 March 2014, Switzerland's Alpiq to help Serbia trade electricity in EU

ევროკავშირის შიდა მოპოვება აღნიშნულ წელს 1%-ით - 156 მლრდ.კუბ.მ-მდე შემცირდა, რაც მთლიანი მიწოდების 33%-ს შეადგენს. ევროკავშირისათვის გაზის მიწოდებელთა შორის ყველაზე დიდი წილი რუსეთს უჭირავს - 27%. ნორვეგიის მიწოდება 23%-ს, ალჟირის - 8%-ს, ხოლო ყატარის კი - 4%-ს შეადგენდა.

Eurogas-მა თავის კვლევაში ევროპის 3 ძირითადი ბაზარი გამოყო: გაერთიანებულმა სამეფომ 79.2 მლრდ.კუბ.მ. მოიხმარა, გერმანიამ მოხმარება 88.5 მლრდ.კუბ.მ-მდე გაზარდა, ხოლო იტალიამ 68.7 მლრდ.კუბ.მ.-მდე შეამცირა.⁹

ბალტიის ქვეყნებში ქარის გამომუშავება 14%-ით იზრდება

ლიტვის ქარის ენერჯის ასოციაციის ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს ბალტიის სამ ქვეყანაში ქარის ენერჯის გამომუშავება 13.85%-ით გაიზარდა, რამაც ჯამში 1.238 მლნ.კვტ.სთ-ს მიაღწია, რომელშიც შედის ლიტვაში განთავსებული ქარის სადგური - მაქსიმალური გამომუშავებით 599 990 კვტ.სთ.



2012 წელთან შედარებით ლიტვის გამომუშავება, რომელიც 537 670 კვტ.სთ-ს შეადგენდა, 11.6%-ით გაიზარდა. ესტონეთმა წარმოების ყველაზე სწრაფი ზრდა დააფიქსირა - 17.9%-ით 528 000 კვტ.სთ.-მდე. ლატვიის გამომუშავება კი 2013 წელს 8.1%-ით გაიზარდა და 109 570 კვტ.სთ. შეადგინა.



ასოციაციის დირექტორმა საულიუს პიკსრუსმა განაცხადა, რომ ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებთან შედარებით ლიტვის ცალკეულმა ქარის სადგურებმა 10-15%-ით მეტი ენერჯია გამოიმუშავეს. ამასთანავე, იგი გამოირჩეოდა უმაღლესი ეფექტურობის კოეფიციენტით (საშუალოდ 27.1%). უკანასკნელი ქარის სადგურების აშენების შედეგად, აღნიშნული მაჩვენებელი 33%-მდე გაიზარდა, ხოლო წელს ასაშენებელი ქარის სადგურების გათვალისწინებით მაჩვენებლის 40%-მდე ზრდა არის მოსალოდნელი.

ოპერატიულმა მაჩვენებელმა ლატვიაში საშუალოდ 24%-ს ხოლო ესტონეთში 22.9%-ს მიაღწია.

⁹ <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=c49821c6-8e3f-423e-9c63-36e5c4012685>

როგორ პიკსრუსმა თქვა, 2014-2016 წლებში ქარის ენერჯის გამომუშავების ზრდა არის მოსალოდნელი.

მან ასევე განაცხადა რომ, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ტექნოლოგიების გაფართოება ხელს შეუწყობს მეტი ქარის ენერჯის გამომუშავებას, მანამ სანამ ფასები არ დაეცემა. თუმცა, ქარის ენერჯის სექტორის გაფართოების გასამყარებლად, საჭიროა სამივე (ბალტიის) ქვეყანაში არსებული ქარის სიმძლავრის ლიმიტის - 500 მგვტ-ის გაზრდა.

ბალტიის ქვეყნებში 2013 წელს ესტონური Nelja Energia ქარის ენერჯის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია იყო. მისმა გამომუშავებამ უმნიშვნელოდ გადააჭარბა 400 000 კვტ.სთ-ს, რამაც ჯამური ქარის ენერჯის გამომუშავების 40% შეადგინა. შემდეგ მოდიოდა Eesti energia 12.4%-იანი გამომუშავებით.

2013 წელს Nelja Energia-ს 222.7 მგვტ სიმძლავრე გააჩნდა - რეგიონში არსებული რესურსის 35%, ხოლო Eesti energia-ს 109 მგვტ სიმძლავრე - რეგიონის სრული რესურსის 17.3%.

ევროპის ქარის ენერჯის ასოციაციის ინფორმაციის თანახმად, 2013 წლის ბოლოს ესტონეთს გააჩნდა ქარის ენერჯის 280 მგვტ დადგმული სიმძლავრე, მაშინ როდესაც ლატვიაში იყო 62 მგვტ, ხოლო ლიტვაში - 279 მგვტ.¹⁰

მსოფლიო

ჩინეთი ენერჯო სექტორის რეფორმას იწყებს

ჩინეთის პრეზიდენტი ხი ჯინპინგი ქვეყნის ენერჯო სექტორის რეფორმირებას გეგმავს, რომელიც უკვე დიდი ხანია მხოლოდ სახელმწიფო კომპანიების კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს. რეფორმის შედეგად ქვეყანაში ბუნებრივ აირზე საცალო ფასების ზრდა და ენერჯო სექტორში კერძო კომპანიების მიერ ინვესტიციების შემოდინება არის მოსალოდნელი. აღნიშნული რეფორმა მეტწილად **PetroChina** ჩინეთის ყველაზე დიდი ნავთობმწარმოებლის PetroChina-ს სასარგებლოდ იმოქმედებს, რადგანაც ეს კომპანიას კაპიტალურ დანახარჯებს შეუმცირებს და სექტორში კერძო



PetroChina

¹⁰ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 705, 19 March 2014, Wind output rises 14% in Baltics

ინვესტიციების აკუმულირება მოხდება. 2014 წელს ამ მიმართულებით კომპანიის დანახარჯები 47.7 მლრდ. აშშ. დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით 7.1%-ით შემცირებულია და კომპანიის დირექტორის ჟოუ ჯიპინგის განცხადებით, ეს მაჩვენებელი მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში შენარჩუნდება.

„ერთ-ერთი მიზეზი, რითაც ჩვენ კაპიტალური დანახარჯების ამ დონეზე შენარჩუნება შეგვიძლია არის ის, რომ მოვიზიდავთ კერძო და სოციალურ ინვესტიციებს ჩინეთის ნავთობისა და გაზის პროექტებში“ - აცხადებს ჯიპინგი.

ჩინეთი ასევე იმედოვნებს, რომ გარდაქმნის ენერჯის ფასების სტრუქტურას. მაგალითად, წლების განმავლობაში მომხმარებლებისთვის ფასები ბუნებრივ აირზე ხელოვნურად დაბალ დონეზე იყო შენარჩუნებული. ამის გამო სახელმწიფო კომპანიებს შეუმცირდათ შემოსავალი, რაც წარმოების სტიმულის დაკარგვისა და ენერჯის არაეფექტური გამოყენების მიზეზი გახდა. მიმდინარე წლის ივლისში მოსალოდნელია, რომ საწარმოო სექტორისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ფასი 15%-ით გაიზრდება, რაც PetroChina-ს მოგებას წლიურად 20 მლრდ. იუანის ოდენობით გაზრდის.

საბაზრო პრინციპების გაძლიერებით ჩინეთის მთავრობა ნავთობისა და გაზის წარმოების გაზრდას იმედოვნებს. გაზის ფასების რეფორმამ შესაძლოა ჩინეთის ფიქალის გაზის მარაგების ათვისების სტიმული შექმნას. 2014 წელს PetroChina წარმოების ზრდას 1.4 მლრდ. ბარელი ნავთობიდან 1.44 მლრდ. ბარელამდე გეგმავს. ქვეყანა იწყებს ნავთობზე დამოკიდებულების დონის შემცირებას, რაშიც საბაზრო რეფორმები მნიშვნელოვნად დაეხმარება. ქვეყანა 60%-ით საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ ნავთობზეა დამოკიდებული და 2020 წლისათვის ნავთობის გადასახადებმა შესაძლოა წლიურად 500 მლრდ. აშშ. დოლარს მიაღწიოს.¹¹

ბრიტანეთი რუსული გაზის იმპორტს 2012 წლის კონტრაქტის მიხედვით იწყებს

მიმდინარე წელს ბრიტანეთი პირველად დაიწყებს რუსული გაზის იმპორტს. ქვეყნის უდიდესმა ენერჯოკომპანია Centrica-მ რუსულ Gazprom-თან 2012 წელს გააფორმა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სამი წლის განმავლობაში ჯამში 2.4 მლრდ.კუბ.მ. გაზის იმპორტს განახორციელებს. გაზის მიწოდება მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იგეგმება.

რუსეთი ევროპისთვის ბუნებრივი აირის უდიდესი მიმწოდებელი ქვეყანაა, რომელიც კონტინენტის მოთხოვნის მესამედს აკმაყოფილებს. ბრიტანეთში იყო შემთხვევები, როდესაც ევროპული რეზერვებიდან ხშირად რუსული გაზიც ხვდებოდა.

¹¹ <http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/China-Reforming-Energy-Sector.html>

რუსული ექსპორტი ძირითად უფრო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას ხმარდება, ვიდრე ბრიტანეთს, რომელსაც საკუთარი მნიშვნელოვანი რეზერვები აქვს და გარდა ამისა ნორვეგიიდან ახორციელებს ბუნებრივი აირის იმპორტს, ხოლო თხევადი ბუნებრივი აირი (თბა)სხვადასხვა ქვეყნიდან შეაქვს.



ბოლო წლებში ბრიტანეთს შიგა მიწოდება საშუალოდ წლიურად 7%-ით შეუმცირდა, რის გამოც იძულებული შეიქმნა დეფიციტი გაზრდილი იმპორტით დაეკმაყოფილებინა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბრიტანეთი პირდაპირი კონტრაქტის მეშვეობით შეიძენს ბუნებრივ აირს Gazprom-ისგან,

მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, არა პირველი რუსული ბუნებრივი აირი ბრიტანეთში. Gazprom-ის გათვლებით, ბრიტანეთი წლიურად დაახლოებით 11 მლრდ.კუბ.მ რუსულ გაზს მოიხმარდა, რომელიც ძირითადად გერმანიის შემნახველი სადგურებიდან მიეწოდებოდა.

წინა პარასკევს ევროკავშირის ლიდერები განიხილავდნენ რუსული ბუნებრივი აირის იმპორტის ჩანაცვლებას, მიზეზად კი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას ასახელებდნენ. ყირიმის კრიზისმა ევროპელებს რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებისკენ უბიძგა. ბრიტანეთის მთავრობის ინიციატივით ევროკავშირში დაიწყება მუშაობა იმისათვის, რათა შემცირდეს რუსულ გაზზე დამოკიდებულება და გაიზარდოს აშშ-სა და ერაყის თბა-ის გადაზიდვები ევროპაში.¹²

„მსუნთქავი“ ბატარეა, რომლითაც მომავლის ელექტრომობილები აღიჭურვებიან


იაპონელი მეცნიერები მუშაობენ ახალი ტიპის ბატარეაზე, რომლითაც მომავლის ელ-მობილები აღიჭურვებიან და დღევანდელ ბატარეებზე სამჯერ უფრო ეფექტიანები იქნებიან.

ელ-მობილები სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობენ და იაპონელი მეცნიერებიც აცნობიერებენ ბატარეების გაუმჯობესების აუცილებლობასა, რომლის ხარჯზეც გაიზრდება ელ-მობილების მიერ ერთი დამუხტვით გავლილი მანძილი. ახალი ტიპის ბატარეის შექმნაზე მომუშავე პროფესორ ნაბუიკი იმანიშის განცხადებით, ამ

¹² <http://energy.einnews.com/article/196567894/AaUQV140jRo7yEQP?n=2&code=GC3nUIjkECsLFtE>

ბატარეით ელ-მობილურს 482 კმ-ზე მეტი მანძილის დაფარვა შეეძლება ერთი დამუხტვით, მაშინ როცა ახლანდელი ლითიუმის იონიანი ბატარეით დაახლოებით 160 კმ-ის გავლაა შესაძლებელი.

მთავარი განსხვავება ლითიუმ-იონისა და ლითიუმ-ჰაერის ბატარეებს შორის არის ძველი ტარდიციული მუდმივი დენის გამტარი კათოდი, რომელიც ჰაერით შეიცვალა. რის გამოც ჰაერის ბატარეა გაცილებით მსუბუქია და უფრო მეტი ენერჯის შენახვაც შეუძლია.



ტექნოლოგიის სრულად დასახვეწად ამჟამად მკვლევარები ბატარეის სხვა მნიშვნელოვან ელემენტზე - გამტარ ელექტროლიტებზე მუშაობენ. ერთ-ერთ მთავარ ელექტროლიტების ვარიანტად წყალი განიხილება. წყლის გამოყენებით გამოირიცხება ატმოსფერული აირების ლითიუმთან შეხება და ასევე ასწრაფებს რეაქციას აირის ელექტროდებში.¹³

ანალიტიკა

ბუნებრივი აირი 2035 წლამდე უმთავრესი ენერჯის წყარო იქნება

BP-ის უკნასკნელი მსოფლიო ენერჯეტიკული კვლევის მიხედვით, ბუნებრივი აირი ყველაზე სწრაფად მზარდი ენერჯის წყარო იქნება 2035 წლამდე. 2012-დან 2035 წლამდე ბუნებრივი აირზე მოთხოვნა საშუალოდ წლიურად 1.9%-ით გაიზრდება და გაასწრებს სხვა ენერჯის წყაროებს. ყოველივე ეს გაზრდის ბუნებრივი აირის, მათ შორის თხევადი ბუნებრივი აირის ფასებს (თბა), რომლის ყველაზე დიდ ექსპორტიორი ყატარია.

BP-ის პროგნოზით, მსოფლიო ენერჯის მოხმარება 2012-დან 2035 წლამდე 41%-ით გაიზრდება. ამ ზრდის 95% განვითარებად ქვეყნებზე მოდის, მათ შორის ძირითადად ინდოეთსა და ჩინეთზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ განვითარებულ ქვეყნებში (OECD) ენერჯის მოხმარება ნელა გაიზრდება და პროგნოზის უკანასკნელ წლებში შემცირებას დაიწყებს. აღნიშნული ქვეყნები უფრო მეტად ენერჯოეფექტურები გახდებიან და გაზრდიან ერთი ერთეული ენერჯისგან მიღებულ სარგებელს, რაც თავის მხრივ შეამცირებს ენერჯის ჯამურ

¹³ <http://energy.einnews.com/article/195462775/LVYP1N3tKiVq4ayW?n=2&code=GC3nUIjkIECsLFtE>

მოხმარებას. ასევე, წიაღისეული საწვავის სუბსიდიების შემცირებით და ამ რესურსების ეფექტიანობაზე დახარჯვით მოსალოდნელია, რომ ენერგოინტენსივობა შემცირდება.

მოსალოდნელი მაღალი ენერგო მოთხოვნის გათვალისწინებით ენერგო მიქსში დაწინაურდება ბუნებრივი აირი. წიაღისეული საწვავი კვლავაც დომინანტი ენერჯის წყარო იქნება, შესაბამისად ნავთობს, გაზსა და ნახშირს 26-27%-იანი წილები ექნებათ. დანარჩენი ნაწილი კი ატომურ, ჰიდრო და განახლებად ენერჯებზე გადანაწილდება და თითოეულის წილი დახლოებით 5-7% იქნება. წიაღისეულ საწვავში ყველაზე სწრაფად ბუნებრივი აირი გაიზრდება, რადგან ის არის უფრო სუფთა ალტერნატივა ელ-ენერჯის გენარაციაში, ვიდრე ნახშირი. იმავდროულად ნახშირის წილი სწრაფად შემცირდება, რადგან მოსალოდნელია, რომ ამჟამად მსოფლიო ნახშირის მოხმარების ნახევრის მომხმარებელი ჩინეთი შეამცირებს მოთხოვნას და ბუნებრივ აირზე გადაერთვება.



მსოფლიოში ჯერ კიდევ ენერჯის რეზერვების საკმაოდ დიდი რაოდენობაა დარჩენილი. წიაღისეული საწვავების მარაგები მუდამ იზრდება ახალი აღმოჩენებით, რაც დედამიწას მრავალი ასეული წლის მანძილზე უზრუნველყოფს ენერჯით, მაგრამ ამავე დროს უფრო აქტუალური ხდება ნახშირბადის ემისიების საკითხი. BP-ის

ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს ნახშირბადის ემისია 29%-ით გაიზრდება და ამ ზრდის ძირითადი ნაწილი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, თუმცა ნახშირბადის ემისიების შემცირების კუთხითაც არის ოპტიმისტური მოლოდინები. 2012 წელს აშშ-ში ნახშირბადის ემისია 1995 წლის მაჩვენებელამდე დაეცა. ეს გამოიწვია ფიქალის გაზის გამოყენებამ ელ.ენერჯის გენერაციაში ნახშირის ნაცვლად.

საერთო ჯამში არა OECD ქვეყნების ბუნებრივი აირის მოხმარების 78% ჩინეთზე და ინდოეთზე მოვა. თბა-ს ექსპორტი ორჯერ გაიზრდება და მისი წლიური საშუალო ზრდის ტემპი 3.9% იქნება. თბა-ს წილი მსოფლიო ბუნებრივი აირის მოხმარებაში 2035 წლამდე 26% გახდება. ფიქალის გაზის მიწოდება 46%-ით გაიზრდება და მსოფლიო გაზის მოთხოვნის 21%-ს და აშშ-ს 68%-ს დააკმაყოფილებს. ბუნებრივი აირის ასეთი მასშტაბებით ზრდა გავლენას იქონიებს მის ფასზე და საგრძნობლად გაზრდის მას.¹⁴

¹⁴ <http://www.arabnews.com/news/540831>